გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 75

2025 წლის 13 ივნისი
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

2025 წლის 7 აპრილს საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით რაზმაძის №21-21250974 ინიციატივა, რომლითაც ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში არსებული მე-17 ქუჩისთვის და და მე-17 ქუჩის ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის - გენო ყაზარაშვილის სახელის მინიჭებას. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. გენო ყაზარაშვილის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადო მოღვაწის - გენო ყაზარაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში არსებული მე-17 ქუჩისთვის და და მე-17 ქუჩის ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის - გენო ყაზარაშვილის სახელის მისანიჭებლად.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე